ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ № 15

(ინფორმაციის გავრცელების შესყიდვა)

ქ. თბილისი 2016 წელი 27 იანვარი

შ.პ.ს. "აქცენტი ჰოლდინგი" (შემდგომში „შემსრულებელი") წარმოდგენილი გენერალური დირექტორის გვანცა ფიფიას სახით, მეორეს მხრივ წალენჯიხის მუნიციპალიტეტი (შემდგომში „დამკვეთი") წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის გამგებლის გოგა გულორდავას სახით, ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ამ ხელშეკრულების საგანია „დამკვეთის" მიერ მომზადებული ყოველდღიური ინფორმაციისა და ანონსების გავრცელება „შემსრულებლის" მიერ.

1.2. ხელშეკრულების საგანია საინფორმაციო სააგენტო "აქცენტის" ვებ-საიტზე www.accent.com.ge დამკვეთის სარეკლამო ბანერის განთავსება.

1.3. დამკვეთი შესრულებული სამუშაოს შესაბამისად გადაიხდის მომსახურების შესაბამის ანაზღაურებას.

1.4. მხარეებს შორის დამატებითი მოთხოვნის, მომსახურების შეთავაზების და შეთანხმების შემთხვევაში დგება ხელშეკრულების დანართი, რომელიც ხელმოწერის შემდეგ ხდება ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი.

1.5. 2016 წლის წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სახსრები (CPV -39294100 საინფორმაციო და სარეკლამო პროდუქცია).

2. ხელშეკრულების შესრულების წესი

2.1. ინფორმაციის მიწოდება ხდება ქართულ ენაზე.

2.2. მხარეთა დამატებითი შეთანხმებით შესაძლებელია ინფორმაციის მიწოდება განხორციელდეს სხვა ენაზე.

2.3. მომსახურება ხდება „დამკვეთისათვის" მოსახერხებელი – მაილის, ფაქსის, ინტერნეტის ან მხარეთა მიერ შეთანხმებული სხვა საშუალებების გამოყენებით.

2.4. „დამკვეთს" უფლება აქვს, არქივის შექმნის მიზნით, მოახდინოს მიწოდებული ინფორმაციის შენახვა, მათ შორის ელექტრონული სახით.

2.5. „დამკვეთი" „შემსრულებლის" მიერ მიწოდებულ ინფორმაციას იყენებს თავისი ინტერესების შესაბამისად.

2.6. „დამკვეთს" ინფორმაციის გამოყენების პროცესში უფლება აქვს მოახდინოს მისთვის მიწოდებული ინფორმაციის თარგმნა ან რედაქტირება იმ პირობით, თუ არ შეიცვლება ინფორმაციის შინაარსი და აზრი.

2.7. დაუშვებელია "შემსრულებელთან" წერილობითი შეთანხმების გარეშე "დამკვეთის" მიერ ინფორმაციის გასხვისება ან გადაცემა მესამე პირისათვის.

2.8. ინფორმაციის ყოველგვარი გამოყენებისას, დისტრიბუციის ან გაყიდვის ჩათვლით, „დამკვეთმა" უნდა მიუთითოს, რომ ინფორმაციის წყაროს წარმოადგენს საინფორმაციო სააგენტო "აქცენტი".

3. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

3.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა შეთანხმების დღიდან.

3.2. ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების მიწოდების ვადაა 1 (ერთი) წელი (01.01.2016-31.12.2016).

3.3. ხელშეკრულება შეუძლია ვადამდე შეწყვიტოს ან გააუქმოს ორივე მხარემ თუ ერთ-ერთი მხარე არ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, რაზედაც 10 დღით ადრე წერილობით ატყობინებს მეორე მხარეს.

3.4. თუ მხარეები ხელშეკრულების ვადის დასრულებისას არ აცნობებენ წერილობით მისი შეწყვეტის შესახებ, ხელშეკრულების მოქმედება ავტომატურად გრძელდება ანალოგიური პირობებითა და პერიოდით.

4. ანგარიშსწორების წესი

4.1 ანგარიშსწორება „დამკვეთთან" განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

4.2 მომსახურების საფასურის გადახდა ხდება ყოველთვიურად, გადასახდელი თანხაა 200 (ორასი) ლარი. მომსახურეობის გადახდა ხდება მიღება-ჩაბარების აქტის წარმოდგენის საფუძველზე.

4.3 ანგარიშსწორება ხდება ყოველი საანგარიშო თვის – მომდევნო თვის 10 რიცხვამდე.

4.4 ხელშეკრულების შეწყვეტის ან გაუქმების შემთხვევაში მხარეებმა უნდა განახორციელონ ურთიერთანგარიშსწორება.

4.5 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 2400 (ორიათასოთხასი) ლარს.

5. მხარეთა ვალდებულებები

5.1 მხარეთა ვალდებულებები შემოიფარგლება მხოლოდ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

6. ფორს-მაჟორი

6.1. ხელშეკრულების მოქმედება შეიძლება შეჩერდეს ფორს-მაჟორული გარემოებების: წყალდიდობა, მიწისძვრა, ხანძარი, გაფიცვა, სამხედრო მოქმედება, ბლოკადა, სახელმწიფო ორგანოების აქტების და ქმედებების და სხვა გარემოებების გამო, რომლებიც გავლენას ახდენს მხარეთა მიერ ამ ხელშეკრულების ვალდებულებების შესრულებაზე ან სხვა მდგომარეობისას, რომელთა კონტროლიც მხარეებს არ შეუძლიათ. ამ ვალდებულებების შესრულების ვადა გადაიწევს იმ დროით, სანამ მოქმედებენ ზემოთ აღნიშნული გარემოებები.

6.2. მხარე, რომელიც ფორს-მაჟორულ ვითარებაში აღმოჩნდება, ვალდებულია დაუყონებლივ შეატყობინოს მეორე მხარეს.

7. სხვა პირობები

7.1. აღნიშნული ხელშეკრულება შედგენილია 2 ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, რომელთაც აქვთ თანაბარი იურიდიული ძალა.

7.2. ხელშეკრულების ხელმოწერისთანავე ძალას კარგავს მხარეთა შორის ხელშეკრულების საგანთან დაკავშირებული ყველა შეთანხმება, მოლაპარაკება, მიმოწერა.

7.3. ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ცვლილება და დამატება ძალაში შედის, თუ ის გაფორმებულია წერილობით და სათანადოდ ხელმოწერილია ორივე მხარის მიერ.

7.4. ყველა დანარჩენ შემთხვევაში, რაც არ არის გათვალისწინებული ხელშეკრულებით, მხარეები ხელმძღვანელობენ საქართველოს კანონმდებლობით.

7.5. კანონმდებლობაში მომხდარი ცვლილებების შედეგად, ხელშეკრულების რომელიმე პუნქტის მოქმედების შეწყვეტის შემთხვევაში, ხელშეკრულების დანარჩენი პუნქტები რჩება ძალაში.

7.6. მხარეებმა ნებისმიერი შეტყობინება უნდა განახორციელონ წერილობით. ასეთი შეტყობინება ითვლება სათანადოდ გაგზავნილად, თუ იგი ადრესატს გადასცა კურიერმა, გაგზავნილია დაზღვეული წერილით, ტელექსით ან ფაქსით, ამ ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე და უფლებამოსილი პირის ხელმოწერით, თუ მეორე მხარე 5 სამუშაო დღით ადრე არ შეატყობინებს საკუთარი მისამართის შეცვლის შესახებ.

7.7. მხარეები ვალდებულები არიან არ გააცნონ წინამდებარე ხელშეკრულების პირობები მესამე პირს.

7.8. თითოეული მხარე იღებს ვალდებულებას, მკაცრად დაიცვას მეორე მხარისგან მიღებული კომერციული და სხვა სახის ინფორმაციის კონფიდენციალობა. ასეთი ინფორმაციის

გადაცემა მესამე პირისათვის, დაიშვება ორივე მხარის თანხმობით, აგრეთვე მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

7.9. ყოველ მხარეს უფლება აქვს მოსთხოვოს მეორე მხარეს ხელშეკრულების ტექსტში არსებული ბეჭდვითი, გაანგარიშებითი ან სხვა აშკარა შეცდომის გასწორების მიზნით, ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა.

7.10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2017 წლის 31 იანვრის ჩათვლით

მხარეთა იურიდიული მისამართები:

შპს „აქცენტი ჰოლდინგი“ მის: ქ. თბილისი, ჭიაურელის ქ№9, ბ№8 ს/კ: 404470363 საბანკო მონაცემები: ს.ს "ლიბერთი ბანკი"; ბანკის კოდი: LBRTGE22; ა/ნ: GE74LB0113111221805000	წალენჯიხის მუნიციპალიტეტი ს/კ 242739248 მისამართი: ქ. წალენჯიხა, სალიას ქ.№5. ხაზინის ერთიანი ანგარიში ტელ: 599 85 77 77

შპს "აქცენტი ჰოლდინგი"

გენერალური დირექტორი:

(გვანცა ფოფხი)

"ACCENT HOLDING" LTD 404470363

წალენჯიხის მუნიციპალიტეტი

მუნიციპალიტეტის გამგებელი

(გოგა ბულორლავა)